ძიუდო: თბილისის საერთაშორისო ტურნირი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

„დროს არ აჭიანურებენ“

თბილისის საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში ყოველთვის გულჩახმიერად ეკიდებოდნენ სპორტის ამ სახეობის უცხოელი სპეციალისტები, თავად მოჭიდავენიც, მაგრამ წელს, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამო, არაერთმა ქვეყანამ უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე. ყველაზე დიდი დანაკლისი კი იაპონელი ძიუდოისტების ჩამოუსვლელობა იყო. შესაძლოა, ძველებური არა, მაგრამ ხიბლი და ლაზათი არც წლევანდელ ტურნირს აკლდა, რაც პირველი დღის შეხვედრებმაც დაადასტურა.

გუშინ 4 წონით კატეგორიაში გაიმართა ორთაბრძოლები, დილის შეხვედრებს უნდა გამოეკლინა სამივე ხარისხის მედლების მაძიებლები — ფინალური და სანუგეშო ბრძოლების მონაწილენი — და სასიამოვნოა, რომ ამ ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით ბაგაურის (86 კგ) ლამაზი და შედეგიანი ჭიდაობა. მან ყველა წინასწარი შეხვედრა წმინდად მოიგო და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. არანაკლები შემართებით იბრძოდა ვასილ ომარაშვილი და შემთხვევითი არაა, რომ დ. ბაგაურის მეტოქე ფინალში სწორედ ივი იქნება.

მძიმეწონასანმა დავით ხახალეიშვილმაც წარმატებით განვლო შესარჩევი ორთაბრძოლები, რამდენიმე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა და ოქროს მედლისათვის გადამწყვეტ შეხვედრაში შეერკინება ფრანგ პატრის რონიეს, რომელმაც თავისი ლამაზი ჭიდაობით სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

95 კილოგრამ წონით კატეგორიაში არ გამოსულა მსოფლიო ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული კობა კურტანიძე და, შეიძლება ითქვას, რომ ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ამ წონაში მოასპარეზე მოჭიდავეებს. თავდაპირველად, აქ რამდენიმე ქართველმა ფალავანმა იმარჯვა, მაგრამ მერე ვეღარ იყოჩაღეს და ისინი ფინალს მიღმა დარჩნენ, სადაც ბრძოლის უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა — გივი გაურგაშვილმა და დიმიტრი სოლოვიოვმა.

საკავშირო ნაკრების წევრი იური პასკარი (78 კგ) ფინალის საგზურს 9 წამში დაეუფლა, როცა ულამაზესი გდებით გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გზიდან ჩამოიცილა იუგოსლავიელი მინრად მიშკანოვიჩი. გამარჯვებისთვის „დახარჯული“ ეს უმცირესი დრო ჯერჯერობით სარეკორდოა ტურნირზე. 9 წამზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა „რეკორდსმენთან“ ფინალში შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად პაველ იასენოვსკის, რომელმაც 38 წამში მიაღწია მიზანს. და საერთოდ, ტურნირის პირველი დღის დილის შეხვედრები იმითაც გამოირჩეოდა, რომ მოასპარეზენი საკმაოდ მცირე დროში ამთავრებენ ბრძოლას. ვადამდე დასრულებული შეხვედრების ჩამოთვლა აქ შეუძლებელიცაა, ვნახოთ, გადამწყვეტი ორთაბრძოლებიც ასე „ხანმოკლე“ თუ იქნება.



გუშინ...

საღამოს გამოვლინდნენ გაბარჯვებულები 4 წონით კატეგორიაში. 78 კგ. 1. პაველ იასენოვსკი, 2. იური პასკარი (ორივე — სხრკ), 3. მაშუკა მაზმიშვილი (საქართველო) და ივანე სოროკინი (სხრკ). 86 კგ. 1. დავით ბაგაური, 2. ვასილ ომარაშვილი (ორივე — საქართველო), 3. ტოიოტ პასკალი (საფრანგეთი) და არამ აკობჯანიანი (სხრკ). 95 კგ. 1. გივი გაურგაშვილი, 2. დიმიტრი სოლოვიოვი, 3. ვიტალი ბუდიკინი და ლეონიდ სვირიდი (ყველა — სხრკ). მძიმე: 1. დავით ხახალეიშვილი (საქართველო), 2. პატრის რონიე (საფრანგეთი), 3. ზაზა დაბრუნდაშვილი (საქართველო) და ეორუ მატონე (საფრანგეთი).

ლელ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

16 თებერვალი, შაბათი, 1991 წ.
№ 28 (10 441) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვახტანგ იაგორაშვილმა წლევანდელი სპორტული სეზონი წარმატებით დაიწყო ვულოცავთ!

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1991 წლის ჩემპიონი ვ. იაგორაშვილი.

გამოხმაურება

დარგს—თავისი პროფკავშირი

ამბროლაურის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ერთსულოვნად იწონებენ სრულიად საქართველოს სპორტსმენთა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის შექმნას. დავიწყეთ წესდების პროექტის განხილვა.

ბონდო სარდანაშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე (დეპეშით).

ხარაგაულის რაიონის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, სპორტის მუშაკები ვაცხადებთ, რომ დარგობრივი პროფკავშირის შექმნა აუცილებელია, ვატარებთ საინიციატივო ჯგუფის მხარდამჭერ კრებებს.

მაღრაძე,
რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის თავმჯდომარე (დეპეშით).

კიევში დამთავრებულ თანამედროვე ხუთჭიდელთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა და შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა გუნდურ პირველობაში ვახტანგ იაგორაშვილმა. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ვახტანგმა ასპარეზობის პირველ დღესვე. იგდო ხელთ ლიდერობა, რომელიც შეჯიბრების ბოლომდე შეინარჩუნა და ჩემპიონის წოდებით დაასრულა შეჯიბრება.

გამარჯვებულმა 5830 ქულა მოაგროვა და თითქმის 100 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს ე. ზენოვკას (5744 ქულა), მესამეზეა მოსკოველი. დ. ჟიგუნოვი — 5613.

როგორც ზედავთ, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა მოსკოვის ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი სტაროსტინი.

„სპორტი და ტექნიკა“—ახალი გაერთიანება დამოუკიდებლობის გზით

გაიმართა საქართველოს დამოუკიდებელი სპორტულ-ტექნიკური სახეობების ფედერაციების გაერთიანების დამფუძნებელი ყრილობა. გაერთიანების სახელწოდებაა „სპორტი და ტექნიკა“. დამფუძნებლები არიან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო.

დელეგატთა შორის იყვნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკები, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები.

ფარული კენჭისყრით გაერთიანების თავმჯდომარედ აირჩიეს თამაზ ცხაკაია, მოადგილეებად — თენგიზ ჩხაიძე და დავით ლოლუა.

ყრილობის დამთავრებისთანავე შევხვდით გაერთიანება „სპორტი და ტექნიკის“ პირველ თავმჯდომარეს თამაზ ცხაკაიას.

● **ბატონო თამაზ, რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს ახლადშექმ-**

იხ. მე-4 გვ.

თბილისელი „ზღვის მგლები“

თბილისის ზღვა, „გრანდ-ოპერა“ და „კორსარი“

...დილიდანვე ციოდა და ბარდნიდა, სწორედ ამიტომ დავთქვით შეხვედრა ჭერქვეშ. გაზაფხული რომ ყოფილიყო, ალბათ, თბილისის ზღვაზე ავიდოდით, რათა მეც შემეგრძნო ის „ნატურა“, რახანია, ასე რომ მოუხიბლავს მხატვარი.

● ბატონო მურაზ, თბილისელი კაცი ბრძანდებით, თქვენი თაობა ძირითადად სპორტის სხვა სახეობებით იყო გატაცებული — ფეხბურთს და კალათბურთს თამაშობდნენ, მერე რაგბისაც „გადასწვდნენ“... ერთი სიტყვით, ქართველ კაცს სპორტის ის სახეობები უფრო უყვარს, სადაც ბურთია. თქვენ რატომ გაგიტაცათ თბილისის ზღვამ, აფროსნობამ, ნიჩბოსნობამ?

— სიმართლე გითხრათ, ბიჭობაში აფრებზე და ნიჩბებზე არ მიოცნებია, არც წყლით ვიყავი გატაცებული; დღენიადაგ ცას შევყურებდი და ავიასპორტსმენობაზე ვოცნებობდი. ბურთიც მიყვარდა, მაგრამ პროფესიულ სპორტზე არასდროს მიფიქრია. ისე კი ვთამაშობდი კალათბურთს, ხელბურთს, მიყვარდა ველოსიპედი. ნიჩბოსნობა ერთბაშად „აღმოვაჩინე“, როდესაც თბილისის ზღვაზე ახალგახსნილ საიალქნო კლუბში მივედი. მისი დაარსების ინიციატორები ჩემი მეგობრები იყვნენ — ილო ფერაძე, თამაზ ზოიძე, დიტო ვარძელაშვილი, რუზო გაჩეჩილაძე. ზღვაზეც პირველად მათ „მიმასპინძლეს“. მახსოვს, ჩემი „დებიუტი“ მარცხით დამთავრდა. პატარა იალქნიან ნავში ჩავჯექი. ამ ნავს სპეციალური ღვედები აქვს — ფეხებზე კარგად უნდა შემოიჭირო და უკან, ქარის საწინააღმდეგო მხარეს გადაიზნიქო, რათა ნავს წონასწორობა შეუნარჩუნო. როგორღაც ღვედი გამიწყდა და მეც წყალში ამოვყავი თავი. მაშინ იყო, ბიჭებმა რომ მითხრეს, შენ აქედან აღარსად წახვალ, სამუდამოდ მიგიჯავშეები აქაურობასო. მართალიც აღმოჩნდნენ. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა. წელიწადის რა დროც უნდა იყოს, დღისით თუ ღამით, როგორც კი დროს გამოვნახავ, თბილისის ზღვას მივაშურებ ხოლმე. აქ თითქოს შინ ვარ, სულიერად ვმშვიდდები და მომქანცველი სამუშაოს შემდეგ განვიმუხტები ხოლმე. ესეცაა, სახელოსნოში მუშაობისას მხატვარი იწამლება ათასგვარი საღებავების სუნით. როცა პირველად ჩემს თავს შეეტყვე, დავჩაჩანაკედი და ჯერ კიდევ ახალგაზრდას სხეული დამიძაბუნდა, სწორედ მაშინ გადავწყვიტე თბილისის ზღვის „პაციენტი“ გავმხდარიყავი.

● საიალქნო კლუბის წევრთა უმრავლესობა აფრიან ნავს ამჯობინებს, თქვენ კი „ჩვეულებრივი“, ნიჩბიანი ირჩიეთ. ეს, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა...

— დასაწყისში მეც იალქნიანი ნავით ვვარჯიშობდი — ეს ხომ ნამდვილი რომანტიკაა და საერთოდ, აფროსნობა გასაოცარი სპორტია, მაგრამ შემდეგ ნიჩბიანი ნავი ვამჯობინე. ჩემი აზრით, ნიჩბოსნობა ერთადერთი სპორტის სახეობაა, სადაც სხეული მაქსიმალურად არის ჩართული მუშაობაში, გონება კი თავისუფალია, იფიქრე რაზეც გინდა და რამდენიც გინდა. თავდაპირველად ძნელია ამის გაკეთება — სხეული იღლება, იქანცება, მაგრამ შემდეგ როცა სუნთქვას „დაიყენებ“, ყველაფერი ერთი რიტმით მიედინება — მარტო ხარ, ხელები და თითქმის მთელი სხეული მოძრაობაშია, შეგიძლია იფიქრო იმაზე, რამაც დაგღალა და რასაც თითქოს გამოექეცი. ამ დროს სხვანაირად ვფიქრობ, წარმოსახვა მიმძაფრდება — ისეთი სახეები „დამბადებია“, ისეთი ფერები „მიპოვია“, სხვა შემთხვევაში ვერასდროს რომ ვერ „აღმოვაჩენდი“.

● და ეს სახეები, ალბათ, თქვენს შემოქმედებაშიც წარმოჩნდა...

— რა თქმა უნდა. ბალეტი „კორსარი“ საფრანგეთში 130 წლის წინ დაიდგა „გრანდ-ოპერაში“. მოხდა ისე, რომ ასოცდაათი წლის შემდეგ მე მიმიწვიეს პარიზში ამ სპექტაკლის მხატვრულად გასაფორმებლად. სცენაზე ზღვის ღელვა, გემი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხომალდის ჩაძირვაც უნდა წარმომესახა. მერწმუნეთ, თბილისის ზღვაზე ნანახ-განცდილმა, ნავით რბოლისას „ნაწვევმა“ სახეებმა შემაძლებინა ზუსტი და მეტყველი სცენოგრაფიული სამყაროს შექმნა. ამ წარმოდგენამ ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ ახლა გენუაში დამპატიჟეს: აქ გაისად თორმეტ მაისს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ხუთასი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე გენუის ახალ თეატრში გაიმართება პრემიერა საოპერო სპექტაკლისა „ქრისტეფორე კოლუმბი“, რომელზეც თანამედროვეობის უდიდეს კინორეჟისორ ბერნარდო ბერტოლუჩისთან ერთად ვიმუშავებ. ვფიქრობ, თბილისის ზღვა აქაც „შემეშველება“.

● თქვენ კი ასე გიყვართ თბილისის ზღვა, მაგრამ იგი დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესობისაგან ამგვარი პატივით ვერ დაიტრაბახებს.

— და განა მარტო თბილისის ზღვა... ჩვენთან მასობრივი სპორტის კულტურა არ არსებობს. ერთხელ ველოსიპედით ავდიოდი ზღვაზე; საერთოდ, ამ დალოცვილ „ტრანსპორტზე ამხედრებულს“ ბევრჯერ შემიმჩნევია ჩემი თანაქალაქელების გულმოწყალე მზერაც — საწყალი კაცი, ეტყობა საშუალება არა აქვს მანქანა იყიდოსო. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა — იგი ხომ ჩვენს სულიერ გაზულუქებაზე მიგვანიშნებს. ისას ვამბობდი: ველოსიპედით მივუყვებოდი ზღვის გზას. ვხედავ, ვიღაც ჯეელები მანქანით მომდევენ, ნასვამები გახლდნენ და ჩამოყრის. ტყუილად არ ვახსენე მასობრივი სპორტის კულტურა. ევროპელთაგან, საერთოდ, უცხოელთაგან ესეც აუცილებლად უნდა შევითვისოთ. ერთ ამბავს გავიხსენებ: შარშან თბილისს ქართველი ემიგრანტი ვიქტორ ხომერიკი ესტუმრა. რა თქმა უნდა, ზღვაზე ავიყვანეთ და აფრიანი ნავით გავასეირნეთ. ისე აღფრთოვანდა ეს ოთხმოცდაორი წლის კაცი, წყალში გადახტა — ეს რა საოცარი რამ გქონიათო. მერე ესეც დასძინა — საკვირველია, ასე ცოტა ხალხი რატომაა ზღვაზეო.

● მერე, რა უპასუხეთ?

— რა უნდა მეპასუხა. ერთხელ მეგობარი მხატვრები ავიყვანე ზღვაზე, იალქნიანი ნავით გავასეირნე. აღფრთოვანდნენ, კლუბში რომ გავწევრიანდეთ, ნავს თუ გვათხოვებენო — მკითხეს. კი-მეთქი, დავუდასტურე. ის დღე იყო და ის, იმათგან კაცაშვილი აღარ ამოსულა. აი, ასეთია ქართველი კაცის ბუნება. ამ ამბავს ხომ არ მოვუყვებოდი. „დანაშაული“ იმით გამოვისყიდე, ბატონი ვიქტორი მეგობრებთან ერთად იახტაზე დავტოვე, მე კი ნიჩბიანი ნავით, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოვემართე და ყურეში მაინც შევასწარი. შემაქო მოხუცმა.

● ბატონო მურაზ, დიდ ზღვაში თუ გიცდიათ ძალები?

— საზღვარგარეთ რამდენჯერმე არაოფიციალურ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა და ღია ზღვაშიც გავედი. პირველად ინგლისში ნგველი ხალხი ვართ — არ ვუვლით იმას, რაც ღმერთმა გვიბოძა. ეს ბოლო წლები, ფაქტობრივად, ლენინგრადში ვცხოვრობ. როგორც კი მზე ოდნავ გამოანათებს, სახაპიროზე ტევა არ არის. სითბოს მონატრებული ჩრდილოელები მაქსიმალურად იყენებენ იმას, რაც აქვთ. ჩვენ კი თითქოს ვერ შეგვიგნია, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ერს გაღონიერებული სხეული და გარკინებული კუნთიც სჭირდება. ეგაა, ჭიქით ხელში კი მაგრები ვართ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ბევრი ყურებს იყო და, ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარული გამოეცოდა, მიწა რომ დავინახე, „ეროდ“ და ზღვის თანალოლ ეს „ცალა“ წელსაცავი მირჩევნია. თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვის კურორტებზეც იშვიათად დავდივარ, აქ უფრო მომწონს.

● წელიწადის რა დროს უფრო გიყვართ ზღვაში გასვლა?

— ზაფხული, რა თქმა უნდა, უკეთესია, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ზამთარშიც დავდივარ და, შემიძლია დაგიფიცოთ, იანვარ-თებერვლის გარდა, წელიწადის ყველა თვეს წყალში ჩავმტარავარ და მიცურავია. ბოლო შვიდი წელიწადია მოუცლელობის გამო ძალიან მეშლება ხელი ვარჯიშში და ამას, სამწუხაროდ, ვგრძნობ კიდეც — უწინ უკეთეს ფორმაში ვიყავი.



სიმაღლე — 186 სანტიმეტრი, წონა — 86 კილოგრამი. გაშლილი, განიერი მხრები, ასე რომ, მოსწონთ ქალებს. ვერაფერს იტყვი, ცნობილ სცენოგრაფს, ბატონ მურაზ მურვანიძეს იდეალური მამაკაცის ფიზიკური მონაცემები აქვს. ორმოცდაათს მიახლოებულს სულაც არა ჰგავს — თავისი ფიზიკური სიჯანსაღით ისე „იპარავს“ ერთ ათეულ წელიწადს, ეჭვსაც ვერ შეიტანთ. მაინც სად მიაგნო ბატონმა მურაზმა „მუდმივი ახალგაზრდობის“ ამ საიდუმლო რეცეპტს? სად და... თბილისის ზღვაზე, იმ ზღვაზე, ასე ახლოს რომ არის ნებისმიერ თბილისელთან და მაინც ასეთი შორი და „მიუღწეველია“ ისევ და ისევ ჩვენი სიზანტისა და სიზარმაცის „წყალობით“.

ცხადია, შეგნებულად „შეგახარბეთ“ მურაზ მურვანიძის ფიზიკური აღნაგობა, ისეთი, თბილისის ქუჩებში იშვიათად რომ გვხვდება. ჰოდა, რახან გვინდა, რომ ჩვენს ქალაქში [illegible]ზი, ახოვანი, ლაღი, მსუბუქი და ჯან-ღონით სავსე ადამიანები დადიოდნენ, ამიტომ ვესტუმრეთ მხატვარს სახელოსნოში და სიჯანსაღის იმ „რეცეპტის“ განდობა ვთხოვეთ, მუდმივ ახალგაზრდობას რომ უნარჩუნებს სხეულს.

● ნიჩბოსნობამ სპორტის სხვა სახეობები სრულიად დაგავიწყათ თუ...

— უკვე გითხარით — ველოსპორტის სიყვარული დღემდე შემომრჩა. სხვათა შორის, სხვები რომ უცხოეთში მანქანებს ყიდულობენ, მე იმ მანქანის საფასურით ველოსიპედი შევიძინე. საზღვარგარეთ გოლფის თამაშშიც გავიწაფე, სათანადო აღჭურვილობა თბილისშიც ჩამოვიტანე და ხშირადაც ვვარჯიშობ. თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, ჩვენში რომ პირველობა მოეწყოს გოლფში, არა მგონია, ვინმემ მაჯობოს. ჩვენთან ადრე კულტურიზმი აკრძალული ხილი იყო. სწორედ მაშინ, ოცდაცამეტი წლისამ მოვკიდე სპორტის ამ სახეობას ხელი და მისი წყალობით ნევროზი, რომელიც სიცოცხლეს მიმწარებდა, სად გაქრა, არ ვიცი.

● ოჯახში თუ აგრძელებს ვინმე თქვენს სპორტულ ტრადიციას?

— ჩემი უფროსი შვილიშვილი, წლინახევრის დავითი, რომელიც, ფაქტობრივად, აბაზანაში ცხოვრობს. მისი იმედი ნამდვილად მაქვს. ბეჭა კი ჯერჯერობით პატარაა. საერთოდ, ვფიქრობ, სპორტის, ფიზიკური კულტურის სიყვარული პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს, რათა მომავალში ჩვენს საწყლისნო თუ „სახმელეთო“ სპორტულ სარბიელებს დამფასებლები არ მოაკლდეთ.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

„დანახვისის“ თვალსაწიერი

ზურგჩანთამოკიდებული გორელი ახალგაზრდები ქალაქის ცენტრალურ მოედანზე იკრიბებოდნენ, საიდანაც მთებისკენ უნდა დაძრულიყვნენ. ჯგუფის ბირთვს ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები შეადგენდნენ ბატონ გიორგი ხარაულის თავკაცობით.

1956 წლის შემოდგომა იდგა. სტუდენტები და მათი პედაგოგები ზდის ხეობაში მიემგზავრებოდნენ. აქ შეკრებილიყვნენ ლექტორები: შოთა არსენიძე, გოგი ძიძიგური, თენგიზ ცერცვაძე, მირიან ეფრემიძე, ვახტანგ გელდიაშვილი და მათთან ერთად, რა თქმა უნდა, ათობით სტუდენტი. ეს ლაშქრობა იქცა ტრადიციის იმ სათავედ, რომელსაც მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიება მოჰყვა. მათ შორის იყო ასვლები კავკასიონზე, კარპატების, ენგურის, არღუნის, ლიახვის, თერგის, თრუსოს ხეობების დალაშქვრა. ასე შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ ქალაქში სამთოტურისტული კლუბი „დანახვისი“ გახსნილიყო. მისმა წევრებმა 1989 წლის ივნისში ხდის ხეობაში უსახელო მწვერვალი დაიპყრეს და მას „9 აპრილი“ დაერქვა.

წელს „დანახვისის“ წევრები ბოშურში გახსნიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს, სადაც ახალგაზრდები მთამსვლელობის ანბანს ისწავლიან. მათი შემდგომი დაოსტატებისათვის კი მოეწყობა მრავალდღიანი ლაშქრობები.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

სურათზე: გორელი მთამსვლელები გერგეტის მუინვარზე.

პატარებს დიდი ნებისყოფით

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი მარტო სპორტის ოსტატების აღზრდით როდი არის ცნობილი. აი, უკვე რამდენიმე წელია, ინსტიტუტის ბაზაზე არსებულმა სპორტულმა სკოლამ ექსპერიმენტის სახით ხელი მოჰკიდა 7-8 წლის მოსწავლეების სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობას. საერთო მომზადების შემდეგ ჩამოყალიბდა წყალბურთელთა გუნდიც, რომელმაც იანვარში მონაწილეობა მიიღო ვოლგოგრადში გამართულ ქალაქის ღია პირველობაზე (1977 წელს დაბადებულებს შორის). თბილისელთა გარდა, ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოვის „იუნოსტი“, მოლდოვას ნაკრები, ყაზანის ბავშვთა სპორტული სკოლისა და ვოლგოგრადის ორი გუნდი.

თბილისელმა სპორტსმენებმა ტურნირი სტაბილურად გაანელეს — დაამარცხეს ყაზანის (14:6), ვოლგოგრადის ორივე (12:2, 8:7), მოსკოვის (5:4) გუნდები და მარცხი მხოლოდ კიშინიოველებთან იწვნიეს (9:11).

— საბოლოოდ მეორე ადგილს დავჯერდით — გვითხრა თბილისელთა მწვრთნელმა ვიქტორ დოლიძემ. — შეჯიბრებაზე საკმაოდ მომზადებულნი გავემზავრეთ, მთავარ ჯილდოსაც მოვიპოვებდით, რომ არა მსაჯის უხეში შეცდომა პირველსავე შეხვედრაში კიშინიოვის გუნდთან. ძნელია მარცხთან შეგუება პასუხსაგები ტურნირის დასაწყისშივე. მაგრამ ბიჭებს ბრძოლაზე ხელი არ ჩაუქნევიათ და, საბედნიეროდ, დასასრული კეთილი აღმოჩნდა — კიშინიოველებთან დამარცხების შემდეგ ოთხჯერ გიმარჯვეს. გუნდის არცერთ წევრს მონდომება არ დაუკლია, მაგრამ რამდენიმეს მაინც გამოვუყოფდი: გიორგი გოგავა ცამეტი გოლით ტურნირის ბომბარდირი გახდა, თერმეტი ბურთი გაიტანა დიმიტრი კვანტალიანმა, ამირან დოლიძემ — ორი ბურთით ნაკლები. გვასახელა მეკარე ირაკლი დონაძეცაც. სწორედ ეს მოთამაშეები შეიძლება ჩაითვალონ გუნდის ლიდერებად. თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის. ჩვენმა გუნდმა უკვე დაამყარა კავშირი იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების კლუბ „ვლადასთან“. ამ კლუბთან ურთიერთობაც დაეხმარება თბილისელ მოსწავლეებს დაოსტატებაში.

მარტის ბოლოს მათ ელით საკავშირო ტურნირი მოსკოვში, შემდეგ კი, 4-10 მაისს, ისინი მონაწილეობას მიიღებენ კიშინიოვის საერთაშორისო ტურნირში.

თამაზა ჯიშკარიანი

ახალი სეზონის წინ...

ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ბევრი აღარაც დარჩა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილენი მონდომებით ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისთვის, რადგან იციან — სწორედ ახლა ეურება საფუძველი მომავალ წარმატებებს. ახლა დროს, მოგეხსენებათ, ძალების შემოწმების საუკეთესო საშუალება ამხანაგური შეხვედრებია. რაოდენ სახიბარულია, რომ საქართველოს გუნდებს შესაძლებლობა მიეცათ მოსამზადებელ პერიოდში საერთაშორისო რანგის სპარინგ-მატჩებიც გაემართათ.

12 თებერვალი. თბილისი. ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანი.

„გორდა“ (რუსთავი): ქორიძე, ლობუანიძე, ჭასრაშვილი, მაისურაძე, ავაქიანი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, ბურნაძე, ა. კაპანაძე, სულაძე (პატარიძე), მიქაშავიძე.

„ბაკი“ (კატოვიცე, პოლონეთი): დრეშერი (ბარანი), ვიტკოვსკი, ლეშჩაკი (ვოოვიჩი), შევჩიკი (მაჩკანკა), ვალჩაკი (გაცეკა), პრაბუცკი, ვაჩინა, ნავროცკი (კშიონუეკი), კოპოლა, უეუნიჩეკი, შვერჩევსკი (ნაუომეკი).

მსაჯი — ო. გუნთაძე (თბილისი).

როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, თბილისს „იბერიის“ მოწვევით საქართველოში მეგობრული ვიზიტით იმყოფება პოლონეთის შარშანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „გკს“ (კატოვიცე). აღსანიშნავია, რომ სტუმართა რიგებში პოლონეთის ეროვნული ნაკრების სამი წამყვანი ფეხბურთელი თამაშობს — ანჯეი ლეშჩაკი, რომან შევჩიკი და იანუშ ნავროცკი. მათთან ერთად ვიხილეთ აგრეთვე არგენტინელი ფორვარდი, 20 წლის მარიო კოპოლა, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა მეტოქეთა გუნდის მცველებს. სხვათა შორის, პოლონეთის ამ ძლიერ საკლუბო გუნდთან კონტრაქტს ხელი მოაწერა თბილისის „იბერიის“ ყოფილმა წევრმა გია გურულმა, მაგრამ, ტრავმის გამო იგი კატოვიცეში დარჩა და იქ აგრძელებს მკურნალობას. პოლონეთის ჩემპიონატის ლიდერის სიძლიერეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ კლუბის ყოფილი წევრები ამჟამად წარმატებით იცავენ ბუნდესლიგის წამყვანი გუნდების ღირსებას — ანჯეი რუდი „კიოლნში“ გამოდის, იან ფურტოკი — „ჰამბურგერ შპორტფერაინში“.

...შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა. ისინი უკეთ შეეგუენ მოყინულ მინდორს. თავდაპირველად მარეკ შვერჩევსკიმ ისარგებლა „გორდას“ მცველების უყურადღებობით და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ კი რომან შევჩიკმა და კშიშტოფ ვალჩაკმა კიდევ ორი ეფექტური ბურთი გაიტანეს რუსთაველთა კარში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „გორდა“ ამ შეხვედრაში აშკარად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა — სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ვიხილეთ გია ფირცხალავა, თამაზ მეტრეველი, გია კილასონია, დიმიტრი კუდინოვი და მამუკა ფანცულია. თუმცა, რუსთაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში მათ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და მატჩის სადავეებიც იგდეს ხელთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კარის აღების ბევრი ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში პირველად ჩაიცვეს „გორდას“ მაისური რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილებმა — ვეფხია სულაძემ და ზაზა პატარიძემ.

ამ მატჩის დამთავრების შემდეგ მოედანზე საასპარეზოდ გამოვიდა თბილისის ორი გუნდი — „იბერია“ და „შევარდენი-1906“. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელმა გამარჯვებულმა — თბილისის „იბერიამ“ დიდი აღმავლობით ჩაატარა ეს შეხვედრა და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა — 7:0 (2:0). ბურთები გაიტანეს მიხეილ ყაველაშვილმა, კახა გოგიჩაიშვილმა (პენალტით), თემურ ქეცბაიამ, გია ჯიშკარიანმა, მურთაზ შელიამ, შოთა არველაძემ და გია ქველაძემ. მატჩის ბოლო წუთზე „შევარდენი-1906“-ის თავდამსხმელმა გივი ქობელაშვილმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

გუნდებმა ამ საწვრთნელ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

„იბერია“: დევაძე, არზიანი, ცხადაძე, შელია (ქველაძე), ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, რ. არველაძე, ყაველაშვილი (მაკავარიანი), ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (შ. არველაძე).

„შევარდენი-1906“: [illegible] (დოლიძე), ილიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი (ბიბაძე), [illegible] ქობელაშვილი, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ბაკურაძე (ყულიაშვილი), ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი (ზეიკიძე).

ბივი ტიბანელი

სურათზე: რუსთავის „გორდასა“ და კატოვიცის „გკს“-ს შეხვედრის მომენტი.

ოლეგ გველესიანის ფოტო.

მკლავჭიდი: დადგა დილეტანტიზმთან გამოთხოვების დრო

წლისთავზე — საერთაშორისო ტურნირი

დღემდე ქართველმა მკლავჭიდელებმა ყველა დიდ გამარჯვებას ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამართულ ტურნირებში მიაღწიეს. ამას საკუთარი, ობიექტური მიზეზი აქვს. უმთავრესი კი ის არის, რომ მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაცია არ არის ჯერჯერობით სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ფედერაციის წევრი.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ღირსეულად უმასპინძლონ პირველ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც 27-28 აპრილს გაიმართება საქართველოს ღია ჩემპიონატის რანგით.

დიახ, საერთაშორისო ტურნირი! გახსოვთ, ალბათ, შარშან, მარტში, ჩატარდა მკლავჭიდელთა პირველი რესპუბლიკური პირველობა და აი, ერთი წლის თავზე, უკვე საერთაშორისო შეჯიბრების მასპინძლად მოგვევლინება ჩვენი დედაქალაქი.

შესაშური წინსვლაა. ჯერჯეროობით ამ ტურნირში ასპარეზობის სურვილი გამოთქვეს ამერიკის, ესპანეთის, გერმანიის, კანადის, ინგლისის, იტალიის, შვეიცარიისა და შვეიცის გუნდებმა. ბუნებრივია, საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლად იასპარეზებს. მკლავჭიდის მოყვარულთათვის სასიამოვნო ცნობა იქნება ისიც, რომ საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი თემურ გიორგაძე იმყოფებოდა ესპანეთში, შეხვდა იქაური ფედერაციის პრეზიდენტს ფრანსისკო ფელიუსს და ესპანელ მკლავჭიდელთა ნაკრების წევრებს. მათ თ. გიორგაძე გულთბილად მიიღეს, მიიწვიეს მკლავჭიდელთა ტურნირზე და აღუთქვეს, რომ თბილისში აუცილებლად ჩამოვიდოდნენ და მასპინძელთა ნებართვით, თან ევროპის გამოჩენილ მკლავჭიდელებსაც დაპატიჟებდნენ. სწორედ ესპანელებმა მიიწვიეს საქართველოს ნაკრები ტურნირზე ესპანეთში და ევროპის ჩემპიონატზე ციურიხში. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ტურნირში მონაწილეობის უფლება მიეცემათ საქართველოს რეგიონების მკლავჭიდელთა ნაკრებებსაც (ქართლის, კახეთის, სვანეთის, რაჭის...), ვისაც სურს, მონაწილეობა მიიღოს ამ ტურნირში, ცნობების მისაღებად შეუძლია დარეკოს: 29-08-47.

რეგიონთა ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად უნდა ჩატარდეს შესარჩევი ტურნირი, რომლის დროსაც აუცილებელია ორგანიზატორებმა იხელმძღვანელონ საბრძოლო მაგიდის ამ ნახაზებითა და წესებით, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ. ისინი საერთაშორისო ფედერაციის მიერ არის დამტკიცებული და რეკომენდებული.

საქართველოს ღია ჩემპიონატი გაიმართება მხოლოდ მკლავჭიდის ერთ სახეობაში — დგომელა მკლავჭიდში (ვრისტვრესლინგი) 59, 68, 80, 90 და +90 კილოგრამ წონით კატეგორიებში. თუმცა არსებობს ჯდომელა მკლავჭიდის საერთაშორისო ორგანიზაციაც (არმტვრესლინგი) და ამ სახეობაშიც იმართება ყველა მასშტაბის საერთაშორისო ტურნირები.

მაისში საქართველოს ნაკრები მიწვეულია ციურიხში, ჯდომელა მკლავჭიდში ევროპის ჩემპიონატზე. მიუხედავად ამ შეჯიბრების და საქართველოს ღია ჩემპიონატის ბევისებრივი სხვაობისა, „თბილისური ტურნირი“ ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნება ევროპელ მკლავჭიდელთა ამ დიდ ფორუმზე საასპარეზოდ.

დაბოლოს, ყველა ახალი საქმე საჭიროებს ხელშეწყობას და დახმარებას. არც მკლავჭიდია გამონაკლისი და საქართველოში პირველ საერთაშორისო ტურნირსაც ესაჭიროება სპონსორები. იმედია, ორგანიზაცია-დაწესებულებები, ფირმები ყურად იღებენ ამ განცხადებას და მათი ხელშეწყობით ღირსეულად ჩავატარებთ ამ შეჯიბრებას.

ფულის გადარიცხვა კი შეგიძლიათ შემდეგ ანგარიშზე: 000161700 (700031), კოდი 521921, „ეკონომბანკი“. მრეწვმშენის საოპერაციო სამმართველო.

ვისაც სურს პირველ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების ღირსება დაიცვას, დამტკიცოს თავისი ძალა, შეუძლია მიმართოს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, არმიის სპორტული კლუბის სპორტკომპლექსი. ვარჯიშები ჩატარდება ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, 4 საათზე.

დგომელა მკლავჭიდის (ვრისტვრესლინგის) საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური წესები:

1. საათის, ბეჭდის ან სხვა ლითონის საგნის ტარება იმ ხელზე, რომლითაც მოასპარეზე იბრძვის, აკრძალულია;

2. აკრძალულია ქუდით ასპარეზობა. გამონაკლისის სახით: კეპი უნდა შემობრუნდეს საწინააღმდეგო მხარეს;

3. ქამრის ბალთით სპორტსმენი არ დაიშვება შეჯიბრებაზე;

4. ორთაბრძოლის დაწყებამდე მონაწილეთა მხრები მიმართული უნდა იყოს მაგიდის კუთხისკენ და ერთობლივად ადგენდნენ მართ კუთხეს;

5. ბრძოლის დაწყებისას თითოეული მოასპარეზის მხარსა და ხელს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ მუშტის ოდენა;

6. ყოველი ბრძოლა უნდა დაიწყოს შეძახილით: „რედი, გოუ“;

7. გამარჯვების მისაღწევად საჭიროა ფიქსატორს შეეხოს მოასპარეზის თითი, მაჯა ან წინამხარი (მკლავი);

8. მოასპარეზეს ორთაბრძოლის დროს არა აქვს უფლება შეეხოს ხელს ტანით;

9. თუ სპორტსმენი ბრძოლის დროს ტანით შეეხება საკუთარ ან მოწინააღმდეგის ხელს და ამ დროს მას მოსაგები პოზიცია აქვს, ბრძოლა დაიწყება თავიდან და მოასპარეზეს მიეცემა გაფრთხილება;

10. თუ მოპაექრე ბრძოლის დროს ტანით შეეხება საკუთარ ან მოწინააღმდეგის ხელს, (ითაც დაბრკოლებს (ხელს შეუშლის) მის ბიძგს, ბრძოლა დაიწყება თავიდან და მას მიეცემა გაფრთხილება;

11. თუ მოპაექრე დაარღვევს წესების IX და X პუნქტებს და ამ დროს იგი წასაგებ პოზიციაში იმყოფება, მოგება ჩაეთვლება მოწინააღმდეგეს;

12. მოასპარეზე დამარცხებულად ჩითვლება მესამე გაფრთხილების მიღებისთანავე;

13. თუ მოასპარეზე შეგნებულად გაშლის ხელის მტევანს, რაც მასზე მოწინააღმდეგის ხელის მტევნის ასხლეტას გამოიწვევს, მსაჯი დაიწყებს მატჩს თავიდან და წესის დამრღვევს (მტევნის გამშლელს) მიეცემა გაფრთხილება;

14. თუ მოპაექრე ასხლეტს ხელს შეგნებულად, როცა იგი იმყოფება აშკარა წასაგებ პოზიციაში და მსაჯი ჩათვლის, რომ, თუ არა ეს შემთხვევა (ასხლეტა), მოპაექრე უცილობლად წააგებდა, იგი მოგებას ჩაუთვლის მოწინააღმდეგეს;

15. თუ შეჩიდება ამა თუ იმ მიზეზით არ ხერხდება (მტევნები ვერ შემოეკედო ერთმანეთს), მოპაექრეთა ხელები იკვრება თასმით;

16. მოასპარეზეთა მხრები არ უნდა გადასცდეს მაგიდის შუახაზს;

17. თუ მოასპარეზეს ემუქრება მსუბუქი ტრავმის საფრთხე მისივე მიზეზით, მსაჯი მას აფრთხილებს;

18. თუ მოასპარეზეს სურს, ბრძოლის დაწყებამდე შეუძლია შეეხიბიოს მხოლოდ ერთი თითი;

19. ორთაბრძოლის დაწყებამდე მოწინააღმდეგენი უნდა ეხებოდნენ იატაკს ერთი ფეხით მაინც. შემდეგ კი შეიძლება ორივე ფეხის მიწიდან აცილება, დასაშვებია ფეხის მაგიდის საბჯენზე შემოხვევა, მიდება თავის ან მოწინააღმდეგის მხარეს. დაიშვება დაკიდება, ჩამუხლვა;

20. თუ მოასპარეზის იდაყვი ამოვარდება „ჯიბიდან“ (იდაყვის საბჯენი) და ამ დროს იგი პოზიციას იგებს (ან მომგებიან პოზიციაშია), მას მიეცემა გაფრთხილება და მსაჯი გადაწყვეტს, თავიდან დაიწყოს ჭიდილი, თუ მიანიჭოს გამარჯვება მოწინააღმდეგეს;

21. „ფალს“ სტარტისათვის მოპაექრენი იღებენ გაფრთხილებას;

22. „დატვირთვა“ ბრძოლის დაწყების წინ წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ორივე მხარესთან;

23. მოასპარეზე მუდმივ კონტაქტში უნდა იყოს სახელურთან (ხელის ჩასაჭიდთან). გამარჯვება არ ჩაითვლება, თუ მოპაექრემ მეორე ხელი საკიდზე ჩაავლო.

24. თუ ხელის გადაწევის დროს იდაყვი „ჯიბიდან“ (იდაყვის საბჯენი) ამოვარდნილია, მოასპარეზე იღებს გაფრთხილებას და ჭიდილი იწყება თავიდან;

25. თუ მოასპარეზის იდაყვი ამოვარდება „ჯიბიდან“ და შეეხება ფიქსატორს, მსაჯი გამოაცხადებს მეტოქის გამარჯვებას;

26. ორივე მოპაექრეს ხელი ჩაჭიდებული აქვს მოწინააღმდეგის ცარა თითზე, ისე, რომ არ ფარავენ თითის ზედა ნაწილს, ჩაჭიდების დროს უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს არც ერთ სპორტსმენს. მაჯები სწორდება.

27. მონაწილეს უფლება არა აქვს მსაჯის გადაწყვეტილებამდე შეწყვიტოს ჭიდილი;

28. მსაჯის ყველა გადაწყვეტილება საბოლოოდ;

29. ყველა მოასპარეზე რისკს საკუთარ თავზე იღებს.



„სპორტი და ტექნიკა“—ახალი გაერთიანება დამოუკიდებლობის გზით

(დასასრული)

ნილი ორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ?

— გაერთიანების რიგებში ნებაყოფლობით შევიდნენ სპორტული ფედერაციები, რომლებიც მანამდე „არდასის“ (ყოფილი „დოსაააფის“) შემადგენლობაში იყვნენ. ესენი არიან ავტო-მოტო და წყალსამოტორო სპორტის, სროლის, სპორტულ-გამოყენებითი მრავალჭიდის, წყალქვეშა ცურვის, ავია და რაკეტსამოდელო, ავტოსამოდელო, გემთსამოდელო, კინოლოგიის ფედერაციები; აგრეთვე ორგანიზაციის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც წარმართავენ რესპუბლიკაში სპორტის ტექნიკური და გამოყენებითი სახეობების განვითარებას.

● რამ გამოიწვია სპორტულ-ტექნიკური სახეობების ფედერაციების გამოყოფა „არდასისგან“?

— „არდასის“ დამოკიდებულებამ ფედერაციების მიმართ. მაგალითად, დაიხურა და გაუქმდა ორი სკოლა, იგივე ბედი ელის მესამესაც. ზოგიერთი ბაზა გააუქმეს, ზოგიც — მძიმე მდგომარეობაშია. რაც შეეხება სპორტსმენებს და სპეციალისტებს, ისინი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა წარმატებებს აღწევენ, უყურადღებოდ რჩებიან. ამას მოჰყვა პერსპექტიულ სპორტსმენთა და სპეციალისტთა დაკარგვა. ავტო-მოტო სპორტის ფედერაციამ მიიღო მიმართვა ყველა იმ ფედერაციისადმი, რომლებიც შედიოდნენ „არდასის“ შემადგენლობაში, შეექმნათ დამოუკიდებელი სპორტულ-ტექნიკური სახეობების ფედერაციების გაერთიანება, რომელიც ახალი სტრუქტურით იმუშავებდა.

● სამომავლოდ რა მიზნებს ისახავთ?

— დამოუკიდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები იასპარეზებენ მაღალი რანგის სპორტულ შეჯიბრებებში, გავლენ საერთაშორისო სარბიელზე; დავეხმარებით ვეტერან, ღვაწლმოსილ სპორტსმენებს; შეიქმნება ვეტერანთა დახმარების ფონდი. ჩვენი ამოცანაა აგრეთვე, მოვამზადოთ ახალგაზრდობა საქართველოს ეროვნულ გვარდიაში სამსახურისათვის, მაგრამ ჯერ რეგისტრაციაში უნდა გავტარდეთ, გადმოგვეცეს ის ბაზები, რომელიც დღემდე „არდასის“ („დოსააფის“) განკარგულებაშია.

● გვხურს, ცოტა რამ ვიცოდეთ გაერთიანების პირველ თავმჯდომარეზე.

— დავიბადე 1937 წელს. თბილისში მივიღე ტექნიკური და იურიდიული განათლება. ვარ შინაგან საქმეთა საგამომძიებლო სამმართველოს თბილისის დიდუბის რაიონის გამომძიებელი, სპორტის ოსტატი და უმაღლესი კატეგორიის მსაჯი ავტო-მოტო სპორტში. მყავს მეუღლე, ორი ვაჟი და პატარა შვილიშვილი. დიდხანს ვიყავი ავტო-მოტო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

რამინ უურაშვილი,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

კრივი რაინდთა სპორტია, მაგრამ ამ სახეობებს ავტორიტეტი უფრო მაღლდება, როცა რეკლამას ასეთი ლამაზმანები უწევენ.

უფრო ახალგაზრდული...

გასულ წლებთან შედარებით საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელსაც სამტრედიის საჭადრაკო კლუბმა უმასპინძლა, უფრო ახალგაზრდული გახლდათ. 56 მონაწილეს შორის პირველი ლიგის საგზურების (I-IV ადგილები) მოპოვების მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ წყალტუბოელი რაულ კაპანაძე, გურჯაანელი ვლადიმერ ჭიკაძე, ქუთაისელი თემურ მასხარაშვილი, რუსთაველი ზურაბ იგრიაშვილი, სამტრედიელები: სოფიკო ტერელაძე, ნიკოლოზ ლეკვეიშვილი, ალეკო ვაშაკიძე, ბესარიონ ლეჟავა და თბილისელები: ვიქტორ სემიონოვი, თემურ გათიკოევი და ფილიპე პირავი. ბრძოლაც სწორედ მათ შორის გაჩაღდა.

ტურნირის დასაწყისიდანვე ლიდერობა ხელში ჩაიგდო ვლადიმერ ჭიკაძემ, რომელმაც შესანიშნავად განვლო მთელი შეჯიბრება და 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. II-V ადგილები 8-8 ქულით გაიყვეს ალეკო ვაშაკიძემ, ვიქტორ სემიონოვმა, გაგა ედიბერიძემ (ქუთაისი) და სოფიკო ტერელაძემ. კოეფიციენტების მიხედვით ისინი სწორედ ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ სატურნირო ცხრილში.

„ლელოს“ კორ.

დაუმარცხებლად ლიდერობენ

თბილისში, ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში ქალთა შორის, სადაც მონაწილეობს რესპუბლიკის 16 უძლიერესი მოშაშე.

8 ტურის შემდეგ 7,5 ქულით დაუმარცხებლად ლიდერობენ ოსტატობის კანდიდატები: კასპელი ლია უაზარაშვილი და თბილისელი ნატო აგლაძე.

მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან ოსტატი მადონა შალამბერიძე და გასული წლის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი დიანა ავადიბ.

ვლადიმერ კანდელაკი

ჰორია თუ მართალი?

არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა, რომელიც იტალიის „ნაპოლიში“ გამოდის, დღეს საერთაშორისო ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავია, მაგრამ იგი კონფლიქტური პიროვნებაა: არღვევს რეჟიმს, ჭირვეულობს, ამიტომაც მსოფლიოს სპორტული პრესა ხშირად აქვეყნებს მარადონასთან დაკავშირებულ სკანდალურ ცნობებს.

სულ ახლახან იტალიაში დააპატიმრეს მაფიოზების ჯგუფი, რომელსაც ბრალად ედება ნარკოტიკების დამზადება-გასაღება და აქ ახსენეს მარადონას სახელიც. როგორც ქალაქ ნეაპოლის პროკურორმა ვიტორე სბორდონემ განაცხადა, მარადონას, შესაძლოა, ჰქონდა კონტაქტი ამ ჯგუფთან. სამხილად მას ხელთ აქვს მაგნიტოფონზე ჩაწერილი სატელეფონო საუბრები.

მაფიოზების ჯგუფი სულ ახლახან დაიჭირეს. გამოძიებაც მხოლოდ ახლა იწყება, ამიტომაც ჰორია თუ მართალი, მარადონას კავშირი ბოროტმოქმედთა ჯგუფთან, ჯერ არავინ იცის.

თვით დიეგო მარადონამ უარყო მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ნარკომაფიასთან ურთიერთკავშირის თაობაზე და კატეგორიულად განაცხადა, რომ სასამართლოში უჩივლებს მათ, ვინც მას ცილს სწამებს.

ფეხბურთელმა განაცხადა: „ახლა ამ აბსურდულ ამბავს იძიებენ იურისტები. ეჭვი არ მეპარება, რომ საქმეს მოვიგებ და მორალური შეურაცხყოფის გამო, მივიღებ ფინანსურ კომპენსაციას. თანაც, უკვე გადაწყვეტილი მაქვს, როგორ გამოვიყენო ეს ფული: თანხას მთლიანად გადავრიცხავ ღარიბი ნეაპოლელი ბავშვების დახმარების ფონდში“.

დ. მარადონას მხარი დაუჭირა „ნაპოლის“ პრეზიდენტმა კორადო ფერლაინომ: — ცხადია, ჩვენ პატივს ვცემთ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას და ხელს შეუშუწყობთ ძიებას, — თქვა მან, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ დიეგოს ამ ბინძურ ამბავთან არავითარი საერთო არა აქვს.

სკილაჩი გევრს ეცადა...

იტალიის ქალაქ ტერნიში გაიმართა იტალიისა და ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა, თამაშს 21 ათასი მაყურებელი დაესწრო.

იტალიელებმა, რომელთა რიგებში არ გამოდიოდნენ ბაჯო, დონადონი, ვიალი და ჯანინი, მნიშვნელოვან ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სკილაჩი, მაგრამ ამ უპირატესობამ მასპინძლებს რეალურად არაფერი მოუტანა.

იტალიის ნაკრები ამ დღეს ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ძენგა (ტაკონი), ფერარა, დე აგოსტინი, ერანიო, ვერხოვოდი, ბარეზი, ლომბარდო (ლენტინი), დე ნაპოლი (კრიპა), სკილაჩი, მაროკი, კასირაგი.

კალეიდოსკოპი

მილიონედად — ერთი ხელი აღჭურვილობა

ტოკიოში აუქციონზე გამოტანილი გოლფის ეს სათამაშო აღჭურვილობა სპეციალისტებმა ხელოვნების ნიმუშს მიაკუთვნეს. სათანადოდ შეფასდა არა მარტო მხატვრების უნიკალური ოსტატობა, არამედ მათ მიერ გამოყენებული მასალაც. მოხდენილი ჯოხი 21,12 კარატის 188 ბრილიანტით არის მოოჭვილი, ბურთი დამშვენებულია 318 ბრილიანტით (25,13 კარატი), ხოლო 4,25 კარატიან სატყორცნზე კი 44 ალმასი ციაგებს. ამ აღჭურვილობის თავდაპირველი ფასი 6300 ათასი დოლარი იყო.

რომანი უინულზე გაგრძელდება

სარაევოს 1984 წლის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონმა, იწგლისელმა ფიგურისტმა, ოცდათორმეტი წლის ჯეინ ტორვილმა გადაწყვიტა ცოლად გაჰყვეს ოცდათხუთმეტი წლის ამერიკელ ხმის ჩაწერის ინჟინერს ფილ ქრისტენსენს. ამით ბოლო მოეღება უამრავ მიფეჭმა-მოთქმას ჯეინისა და მისი სპორტული პარტნიორის ქრისტოფერ დინის ურთიერთობაზე.

უკვე ექვსი წელიწადია, რაც სახელგანთქმული წყვილი ჩამოშორდა დიდ სპორტს, ამჟამად უინულზე ცეკვის დასის მსახიობები არიან და წარმატებით მოვლეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ამერიკის შეერთებულ შტატებში შარშანდელი ტურნეს დროს ტორვილი თავის მომავალ მეუღლეს გაეცნო, რომელიც წარმოდგენების ორგანიზაციაში ეხმარებოდა დასს. რამდენიმე თვის შემდეგ ფილმა ჯეინი რესტორანში მიიწვია, შემდეგ კი ბრილიანტის ბეჭედი მიართვა.

ხომ არ დაიშლება სახელგანთქმული დუეტი ტორვილი-დინი? არავითარ შემთხვევაში — ამბობენ მოციგურავეები, როგორც ქრისტოფერმა განაცხადა: „უინულზე სრიალისას ყველაფერს ძველებურად გავაკეთებთ. ჩვენი რომანი უინულზე გაგრძელდება“.

ჟან-კლოდ კილი ახალ ამპლუაში

ამ დღეს მოუთმენლად ელიან საფრანგეთშიც და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეშიც, სადაც უყვართ ზამთრის სპორტი და პატივს სცემენ ოლიმპიურ იდეალებს. 1992 წლის 8 თებერვალს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ალბერვილში დაიწყება ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშები. წინასწარი მონაცემებით, მსოფლიო სპორტის ამ უდიდეს ფორუმში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის 2 ათასზე მეტი წარმომადგენელი. ოლიმპიადას მოემსახურება 7 ათასი ჟურნალისტი, ხოლო გადაცემებს ცისფერ ეკრანზე იხილავს 2 მილიარდზე მეტი ტელემაყურებელი.

ემასთან დაკავშირებით, ალბერვილის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა თანაპრეზიდენტმა, წარსულში სახელმოხვეჭილმა სპორტსმენმა ჟან-კლოდ კილიმ განაცხადა: „ალბერვილში დღეს ყველაფერი პრაქტიკულად მზადაა. ახლა საჭიროა ახალი სპორტული ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტთა გამოცდა“.

კარგია, როცა ორგანიზატორი დარწმუნებულია თავის ძალაში, შესაძლებლობებში და ოპტიმისტურადაც არის განწყობილი, მაგრამ სრული სიმშვიდე გრენობლის ოლიმპიადის სამგზის პრიზიორს მაინც არ დაუფლებია. მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა „გადააბიჯოს“ 4 მილიარდიან ბიუჯეტს (ლაპარაკია ფრანგულ ფრანკებზე). არადა, ყოველდღე რაღაც პრობლემები ჩნდება.

სულ ახლახანს გაირკვა, რომ შეიძლება ჩაიშალოს გარიგება ამერიკის ტელეკომპანია სი-ბი-ესთან, რომელიც ტრანსლაციის უფლებისათვის ორგანიზატორებს 243 მილიონს დოლარს სთავაზობდა. სიბი-ესი, რა თქმა უნდა, უარს არ ამბობს ამ უფლების ყიდვაზე, მაგრამ, თუ აშშ-ის სპორტსმენები ვერ ჩავლენ ალბერვილში (უმთავრესად ტერორიზმის შიშით), ეს თანხა საგრძნობლად შემცირდება. კილი, ყოველი შემთხვევისათვის, მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ ინგლისურ სადაზღვევო კომპანიასთან „ლოიდთან“, რათა მოსალოდნელი გარღვევა ბიუჯეტში როგორმე მაინც აინაზღაუროს, მაგრამ ამ მოლაპარაკების შედეგები ცნობილი იქნება მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბრისთვის.

ორგანიზატორებს სასიამოვნო ცნობებიც საკმაოდ ბლომად აქვთ. ბრწყინვალედ მიმდინარეობს, მაგალითად, ბილეთების დაჯავშნა შეჯიბრებებზე, რომლებიც 11 სხვადასხვა სპორტულ სარბიელზე უნდა გაიმართოს. 800 ათასი ბილეთიდან 100 ათასი უკვე დაბეჭდულია ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე. ბილეთების ფასი 30-დან 300 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ასე რომ, ეს ბიზნესი შემოსავლის კარგი წყარო გახდება. ბილეთების შეკვეთა შეიძლება როგორც „რენოს“ ფირმის სპეციალური ბიუროს და „კრედი ლიონეს“ ბანკის საშუალებით, ისე სარკკლამო მატარებელ „კუბერტენის“ მეშვეობით, რომელიც თებერვალში საფრანგეთის 27 დიდ ქალაქს მოივლის.

ოლიმპიადის ნორმალურ ჩატარებას, კილის აზრით, ზელს ვერ შეუშლის უთოვლო ზამთარიც კი, რაც, სამწუხაროდ, ევროპაში არცთუ იშვიათი მოვლენა გახდა. თანაპრეზიდენტის განცხადებით, უთოვლობამ შესაძლოა ხელიც შეუწყოს ოლიმპიადის ნორმალურად ჩატარებას, ვინაიდან ასეთ დროს აღარ იქნება გასაწმენდი გზები. რაც შეეხება ტრასებს, მათ თოვლს არ მოაკლებენ ორგანიზატორთა განკარგულებაში მყოფი „თოვლის“ ზარბაზნები“ (ოლიმპიადისთვის მათი რაოდენობა ხუთასს მიაღწევს).

ჟან-კლოდ კილი აქამდე ცნობილი იყო როგორც ბრწყინვალე სპორტსმენი. მაგრამ იგი არანაკლებ უნარიანი და ჭკვიანი ორგანიზატორიც ყოფილა და, ამის გამო, ფრანგები მას ყოველმხრივ ენდობიან, მხარს უჭერენ. ახლა ეს განწყობილება მთლიანად გადავიდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზეც.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380026
თბილისი, ვ. კოტეტიშვილის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „ბართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალისტების გაერთიანება „ხალხის ხმა“. 380009, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის, 14. ბეჭდავს „ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ბოლშევიკოსის, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20